საერთაშორისო
წერილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
აპარატი და პროგრამები
(პროგრამული კოდი: 05 00)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

სარჩევი

1 . პირობითი მოსაზრების საფუძვლები 3
1.1 ძირითადი აქტივების აღრიცხვა 3
1.2 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა 3
1.3 შენობა-ნაგებობების განკარგვა 3
2. სხვა გარემოებები 5
2.1 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურება 5

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატისა და პროგრამების (შემდგომში - სამინისტრო) 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1 . პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 ძირითადი აქტივების აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოებები

ბალანსის დანართ ფორმა №1-ში ბალანსგარეშე საცნობარო მუხლებში: „№04 - ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში", „№08 - ამორტიზებული ძირითადი აქტივები" და „№10 - ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები" ფინანსური აქტივები წარმოდგენილია 87,595.00 ლარით. ვინაიდან აქტივებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ აწარმოებდა აქტივების რეესტრს, ამასთანავე, თითოეულ აქტივზე არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ მოწოდებული რეესტრები არაა ერთმანეთთან შესაბამისობაში, აუდიტის ჯგუფმა ვერც ჯვარედინი გადამოწმებით და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით ვერ შეძლო დაედასტურებინა აღნიშნული თანხის სიზუსტე და სისრულე.

რეკომენდაცია №1

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს აქტივების (ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში, ამორტიზებული ძირითადი აქტივები, ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები) აღრიცხვა (საინვენტარო ბარათების წარმოება და აქტივების რეესტრების შედგენა) და ბალანსის დანართ ფორმა №1-ის ბალანსგარეშე საცნობარო მუხლებში სწორად (სისრულისა და სიზუსტის დაცვით) ასახვა.

1.2 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოებები

ბალანსის ანგარიშზე „2.3.2 - არამატერიალური ძირითადი აქტივები" ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №5-ში წლის ბოლოს ასახულია 29,521.75 ლარის ღირებულების 3 (სამი) ერთეული არამატერიალური აქტივი. აღნიშნული აქტივებიდან ერთ შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა გაზრდილი არამატერიალური აქტივის ღირებულება, ხოლო ორ შემთხვევაში - აუდირებულ წელს ცვეთის თანხები არ დარიცხულა, რითაც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. კერძოდ:

- 2009 წელს შეძენილი 12,360.00 ლარის ღირებულების აქტივი „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური სტატუსის ამსახველი მონაცემების ერთიანი

ელექტრონული ბანკის საპილოტე პროგრამა“ 2013 წლიდან აღარ ფუნქციონირებს და მიმდინარე პერიოდის საწყის ნაშთში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, რადგან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, აღნიშნული თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა გაზრდილი არამატერიალური აქტივის ღირებულება, რაც ასევე არსებითად არასწორად ზრდის წმინდა ღირებულებას და საბოლოო ჯამში არ იძლევა ფინანსური ანგარიშგების სწორად აღქმის შესაძლებლობას;

- 2007 წელს შეძენილი 12,568.50 ლარის ღირებულების აქტივს - „გალის ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტი“, რომელსაც ცვეთა არ ერიცხებოდა, ცვეთის სათანადო ნორმით ამორტიზაციის შემთხვევაში, 2017 წელს დაერიცხებოდა 1,256.85 ლარის ცვეთა და 31 დეკემბრის მდგომარეობით უკვე სრულად ამორტიზებული იქნებოდა. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში 12,568.50 ლარით არასწორადაა გაზრდილი არამატერიალური აქტივის ღირებულება, ამავდროულად შემცირებულია საცნობარო მუხლი „№08 - ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ და ასევე არასწორადაა შემცირებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულება 1,256.85 ლარით. ჯამში ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია არასწორად და არაზუსტად;
- 2012 წელს შეძენილი 4,300.00 ლარის ღირებულების აქტივი - „გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ტერიტორიაზე გადაუდებელი დახმარების კომპლექსის და სპეციალური ავტოფარეხის პროექტი“, რომელსაც ცვეთა არ ერიცხებოდა, ცვეთის სათანადო ნორმით ამორტიზაციის შემთხვევში, 2017 წელს დაერიცხებოდა 430.00 ლარის ცვეთა და 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი საბალანსო ღირებულება, დაგროვებული ცვეთის გათვალისწინებით, იქნებოდა 2,150.00 ლარი. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ღირებულება არასწორადაა გაზრდილი 2,150.00 ლარით და კაპიტალის მოხმარების ღირებულება არასწორადაა შემცირებული 430.00 ლარით, რაც ჯამში გავლენას ახდენს წმინდა ღირებულებაზე და ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობასა და სისწორეს.

რეკომენდაცია №2

ბუღალტრული კორექტირებების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდეს არამატერიალური აქტივების ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმა №1-ში, №3-სა და №5-ში) სწორად ასახვა.

1.3 შენობა-ნაგებობების განკარგვა

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროს სარგებლობაში არსებული (800 კვ.მ ფართი ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №16-ში) ფართის ნაწილი (37 კვ.მ) ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე დაკავებული ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტის სსიპ - გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სანიტარიის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მონიტორინგისა და რეაგირების სამსახურს.

ამავდროულად, სამინისტროს ფართის ნაწილი 48 კვ.მ-ის ოდენობით, ასევე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებული ჰქონდა 2017 წელს შექმნილ აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატას.

მიუხედავად სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციისა, ვინაიდან აუდირებული წლის განმავლობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ან სასყიდლით (ქირით, იჯარით) გადაცემასთან დაკავშირებით სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა ქმედითი ღონისძიებები, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართებულად და არამიზნობრივად განკარგვას.

რეკომენდაცია №3

დაუყოვნებლივ განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები სამინისტროს სარგებლობაში არსებული ფართის (ქონების) ნაწილზე, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე იურიდიული პირების განთავსებისა და ფუნქციონირების აღსაკვეთად და სახელმწიფო ქონების მართლზომიერ განკარგვაში მოსაქცევად, რითაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფო ქონების კანონიერი და ეფექტიანი მართვა-გამოყენება.

2. სხვა გარემოებები

2.1 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო 5 (ხუთი) პირი, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, დასაქმებული იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად 9-12 თვის ვადით და მათზე გაიცა 38,040.00 ლარის ანაზღაურება, მათ შორის, 4 მოსამსახურე სამინისტროში მუშაობდა 2016 წელსაც (12 თვით) და ასრულებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს). 2015-2017 წლების მაჩვენებლების დინამიკის გათვალისწინებით, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, აუდირებულ პერიოდში სამინისტროში კვლავ არ გამოსწორებულა მდგომარეობა ზემოაღნიშნული თანამშრომლების დასაქმების მხრივ. ისინი ასრულებდნენ მუდმივი ხასიათის სამუშაოებს მთელი წლის (ხანგრძლივი პერიოდის) განმავლობაში და მათზე გაცემული ანაზღაურების თანხა 2017 წელს გაზრდილი იყო წინა პერიოდთან შედარებით.

რეკომენდაცია №4

შტატგარეშე (ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების) დასაქმება უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, სამინისტროს

საჭიროებიდან გამომდინარე, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, არგუმენტირებული დასაბუთებების საფუძველზე და შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (გაწეული მომსახურების) იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE